

ბრძანება

20 ნოემბერი 2018 წ.

თბილისი

№ 996/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2018 წლის 13 ნოემბრის №435 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:
 1. არაი ჰიროე- იაპონიის მოქალაქე;
 2. ეგეოგჰენე პრაისე ეპია- ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქე.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2018 წლის 30 ნოემბრამდე.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს და თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.
4. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

5. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ. კილასონიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი